სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება # 22

ქ. თელავი 08 აპრილი 2016 წელ

ერთის მხრივ, ააიპ ,თვითმმართველი თემი, თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის შოთა ლაჩაშვილი სახით და მეორეს მხრივ შპს დეგაპრინტი სახით, ვდებთ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები.

1.2 კლასიფიკატორის კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: CPV 79800000

1.3 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა;

1.4 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 მიმწოდებლის მიერ გასაწევ ან უკვე გაწეულ მომსახურების კონტროლი (ინსპექტირება) შესაძლებელია განხორციელდეს შემსყიდველის შეხედულებისამებრ. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლეფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

2.2 მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით შემსყიდველის მოთხოვნისთანავე.

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის და ან ნაკლის აღმოფხვრა, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

2.4 კონტროლი მომსახურეობის მიმდინარეობაზე უნდა განხორციელდეს, თანახმად საქართველოში მოქმედი შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლებაა განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

3. მომსახურების შესრულების პირობები

3.1 მიმწოდებელი ვალდეულია თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპაქლიტეტის კულტურის ცენტრს მოემსახუროს ბეჭდვით.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაწეული მომსახურების შესრულების შესახებ წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია;

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესების მოთხოვნების დაცვით და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად;

3.4 მხარეები განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები;

3.5 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი(ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ან/და სათანადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5. ანგარიშწორება

5.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5.2 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშორება.

5.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის შემდგომ.

6. ფასები

6.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1865 (ერთიათასრვაასსამოცდახუთი) ლარს;

6.2 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს;

6.3 ხელშეკრუელბის ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია;

6.4 ხელშეკრუელბის ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით;

6.5ხელშეკრუელბის ღირებულებითი პარამეტრების დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

6.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინენული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუსვებელია სახელმწიფო სესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით;

8.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი მოვალეობების შესრულებისაგან.

9. ფორსმაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორს-მაჟორი);

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 08 ივლისამდე.

12. სხვა პირობები

12.1 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

12.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
დასახელება: ააიპ თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი
მისამართი: ქ. თელავი დავით რექტორის ქ. # 8
საიდენტიფიკაციო კოდი - 431172072

სახელმწიფო ხაზინა

დირექტორი

შოთა ლაჩაშვილი

მიმწოდებელი:
შპს „დეგაპრინტი"
ქ. თბილისი ვირსალაძის 8
ს/კ 204444477

ბანკის კოდი TBCBGEE22
ანგ. GE41TB0600000101467543

დირექტორი

ლაშა სოხაძე